ფასი თბ—ში 5 კაპ.
პროვინციაში—6 კაპ.

წელიწადი პირველი.

ქარიშხალი

№ 3. კვირა, 5 აგვისტო 1907 წ. № 3.

შინაარსი: 1) რევოლიუცია და დუმა.—2 „ისრის“ ნასროლი, „ფუტკრის“ ნაკბენი და მისი გაკეთებული „თაფლი“ და „სანთელი.“—3 ფელეტონი: ძირითადი საფუძვლები სინდიკალიზმისა.—4 სოც-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უქმროთ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე.—5 უკბილოთა კბენანი და უგუნურთა მსჯელობანი.

რევოლიუცია და „დუმა“

F/L 56

რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა სისწრაფით ასწორებდა ცხოვრების აღმართ-დაღმართებს მისი უდიდესი განვითარება მივიდა 17 ოქტომბრის დათმობამდე შეუჩერებლად. აქედგან იწყება რეაქციის უკანასკნელი ძალების შემოკრება რევოლიუციის შემდეგ განვითარების შესაფერხებლად. ბოლოს უკანასკნელ გენერალურ ბრძოლას მოსკოვში 14 ნოემბერს განმათავისუფლებელ და დამაბრკოლებელ ძალებს შორის,

რეაქციამ გაიმარჯვა ფიზიკურად, მაგრამ მისი გამარჯვება პიროსის გამარჯვება იყო. ამ გვარი, სამხედრო რეაქციის ფიზიკური გამარჯვება ნიშანი იყო ამ ნიადაგზე მისი დამარცხების ახლო მომავალში. მაშინ დადგა ახალი რეაქციის ხანა—ხანა მოქალაქეობრივი რეაქციისა—რომელიც გამოიხატა პირველ „დუმაში.“ „დუმის“ საშუალებით რევოლიუციონურმა მოძრაობამ იწყო შესუსტება თავის საზარალოდ და სასარგებლოდ რეაქციისა, რომლის ბანაკი იზრდებოდა „პერებეჟჩიკებით“ რევოლიუციონური ბანაკიდგან; კადეტთა პარტიის „პერებეჟჩიკობას,“ რაც მოსალოდნელი იყო მოჰყვა პოლიტიკურ სოციალისტების „პერებეჟჩიკობა,“ ჯერ ს.-დემოკრატია გადავიდა რევოლიუციის ბანაკიდგან ევოლიუციის ბანაკში, შემდეგ ს. რევოლიუციონერები და სხვა პოლიტიკური სოციალისტები. სოციალისტები და რევოლიუციონერი ხალხი კი დარჩა პირში ჩალა გამოვლებული.

„ისრის“ ნასროლი,

„ფუტკრის“ ნაკბენი და მისი გაკეთებული „თაფლი“ და „სანთელი“

ბოდიშს ვიხდი „ქარიშხლის“ მკითხველების წინაშე, რომ იძულებული ვრჩები, სხვათა შორის, დრო დავაკარგვინო იმ პასუხის წაკითხვაში, რომელიც დაიმსახურა „ისარმა“ და მისმა ცრუ ფუტკარმა.

წვერ მოტეხილ და ჩლუნგ „ისარს“ მოემატა წარსულში ჩლუნგად და უნიჭოთ ცნობილი „ფუტკარი,“ qui se ressemeble s' assemble,

дурак дурака видит из далека.

დიახ „ფუტკარი“ და „ისარი“ ნიუტონის მიზიდულების კანონის დემონსტრაციას ახდენენ თავიანთ მკითხველების წინაშე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნიუტონის მიზიდულების კანონში მიზიდულების საფუძველი მასაა, მაშინ როდესაც „ისრის“ და „ფუტკრის“ მიზიდულების საფუძველი სიჩლუნგე, უნიჭობა და სისულელეა.

„ისრის“ ბუხგალტერმა, ჯერ იყო და ისე მედიდურად გადმოგვხედა, თითქოს როშფორი ან ანფიტეატროვი იყოს პამფლეტების წერაში. შემდეგ ისე, თითქოს დიდი მეცნიერი და ბოლოს გადასძრა შარვანდედი პამფლეტისტისა, მეცნიერისა და საქმე იქამდის მივიდა რომ მებრძოლი ლომის ქურქიც გადაუვარდა და გამოაჩინა ყარაბაღის ოთხფეხი მცხოვრების მშვენიერი ყურები. ჩვენ ტალახიდგან „აქეთ ვეზი-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებოდით და „ისარი“ კი ისეთი გაიწია, რომ სულ მთლად ჩაიმალა წუმპეში. თუ „ისარს“ ჩვენი პურის მარცვალი იალბუზად მოეჩვენა, ჩვენი ბრალი არ არის.

„ისარმა“ ჯერ დაჰგმო ლანძღვა-გინება, რომელიც ჩვენ ნაწერში მოეჩვენა და შემდეგ თვით შეუდგა „ჭეშმარიტ გინებას,“ როგორც შეჰფერის „ჭეშმარიდ ქართველთა“ ორგანოს და გაამართლა თქმულება; le chien viens à son vomissement.

„ისრის“ ცრუ „ფუტკარი“ ძლიერ ბევრს ბზუის და ამით სურს თავი ფუტკრად მოაჩვენოს მკითხველს. ბუზი ფუტკრის ტყავში გახვეული ლაპარაკობს ჩემს უნიჭობაზე და უვიცობაზე და არაფერს ამბობს თავის ცოდნაზე და ნიჭზე Baton-სავით.

ფუტკრის ტყავში გახვეული ბუზის ნიჭი, რომელიც შესდგება სიჩლუნგეში უკვე ცნობილია ქართულ ლიტერატურაში; ცოდნა კი, თავის სპეციალობაში არ აქვს ხეირიანი და საზოგადოებრივი მეცნიერების არ სმენია არაფერი და არც ეხლა ე'მის.

რომ ამ ვაჟბატონს, რომელიც არც შორს არის საიქიოს საზღვრებიდგან, არაფერი ესმის, ცხადია იქიდგან, რომ ჯერ წერილი არც კი დაწყებულა და ის გულ ამომჯდარი აფრქვევს ცეცხლს; ცეცხლი ჩვენ ბევრი დაგვინთია ჩვენი ხელით და თქვენ კი სხვისი ხელით ანთებული გინახავთ, მაგით ვერავის შეაშინებთ; ფრთა მოტეხილი ბუზი ამბობს, რომ იძულებულია ანგარიში გამიწიოს, სულ ტყუილად იწუხებს თავს თანასწორ პირობებში თქვენ ვერც ერთ მწერალს ვერ გაუწევთ ანგარიშს ძალიანაც, რომ მოისურვოთ.

რაც შეეხება მიკიტნობას, უნდა მოვახსენოთ ქართველ პურიშკევიჩს, რომ მიკიტანი უფრო მაღლა სდგას, ვინემ თქვენისთანა ბუზი— მიკიტანი საჭმელს მაინც აკეთებს და თქვენისთანა ბუზი კი პარაზიტობას ეწევა.

რაც შეეხება ბუზის პროტესტს აქლემების, ჭიანჭველების, კიდევ უფრო დაბალი ცხოველების და ვირების წინააღმდეგ, ცოტა დაგვიანდა პროტესტი და ეხლა ბუზი ტყუილად ბზუის. პროტესტი ადრე უნდა გამოეცხადებია და ალარ მოჰყვებოდა მათ რიცხვში, გამორიცხვიდნენ თავიანთ „ისრის“ საზოგადოებიდგან. ამ საზოგადოებაში მეტია ლაპარაკი ფილოსოფიაზე აზრზე და გვიკვირს რად ლაპარაკობს ბუზი, რა ბუზის საქმეა ფილოსოფია და აზრი. მოეხსენება მკითხველს, რომ ლოლიკა ფილოსოფიის დარგია, ვნახოთ ამართლებს თუ არა ფილოსოფიის მოთხოვნილებას და თვით უბრალო მოსაზრების პირობას ჩვენი ბუზი, რომელიც ბევრს ბზუის, და უფრო მეტს სტყუის. ბუზი ბზუის, რომ „მართალი მოგახსენოთ, არა მწადია ვქექო ნაგავი, და შეეხები მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც“ თურმე ჩემ ფილოსოფიურ უსუსურობას ნათელჰყოფს.

თუ „ქარიშხალი“ ნაგავია და არ სურს ჰქექოს ნაგავი მაშ რად ჰქექს ამ ნაგავს, რად ეხება „მხოლოდ ერთ საკითხს“ ამ ნაგავში გამოქექილს მის მიერ, სად არის აქ ლოლიკა? არსად! ბუზს ლოლიკა არა აქვს!

სტყუის ბუზი, როდესაც ამბობს, რომ იგი (მე) „ლამობს ერთის დაკვრით (?) წესი აუგოს ქართველ ერს.“ ჩემს ნაწერში ერთი სიტყვაც, ერთი წინადადებაც კი არ იძლევა საშუალებას ამგვარი არა თუ აზრის ამოკითხვისას, არამედ დასკვნისას. სტყუის ბუზი, როგორც მღვდელი.

ბუზი ძლიერ ბზუის იმ აზრის წინააღმდეგ, რომ მე „პოგრომშჩიკები“ კრუშევანები და პურიშკევიჩები ვუწოდე „ისრის“ პანთეონის უკვდავთ და ახლად მომკვდარს, რომელიც ჯერ გზაშია ამ პანთეონში შესასვლელად.

დიახ მე ამ წმინდა გუნდის წევრებს, „რომელნიც იბრძვიან(?), სხვათა შორის საქართველოს ბოლიტიკურ თავისუფლებისათვის,“ ვუწოდე „პოგრომშჩიკები,“ მაგრამ დღესავით ნათელი და ბუზის არსებობისავით მართალია რომ საქართველოს ბოლიტიკური თავისუფლება არის ქართველ გაბატონებულ კლასის თავისუფლება და არა ქართველების სოციალური თავისუფლება. ცნობილია თუ, როგორ „ბოგრომებს“ ახდენს და რაგორ უსინდისოდ და მხეცურ სიმკაცრით აქრობს ბოლიტიკურად თავისუფალ ნაციაში გაბატონებული კლასი დამონებულ კლასის მოძრაობას.

რაც შეეხება ჩემ მიერ აზრების არევ-დარევას და ბუზის მიერ დალაგებას გვიბოძოს ნება ჩვენი ოჯახი ჩვენვე დავალაგოთ, მით უფრო, რომ ბუზი ავტონომისტია.

რაც შეეხება არევ-დარევას უნდა მოვახსენოთ რომ გიჟს, ჭკუაზე არეულ-დარეულს სხვაც არეულ-დარეული ჰგონია, ჯერ ბუზმა კარგად გაარკვიოს ტერიტორია და მიწა და შემდეგ შეიძლებს ტერიტორიალურ სამზღვრის და წარმოების საზღვრის ერთი მეორესაგან გარჩევას; ასე ეგონება კაცს, რომ ბუზს იდიოტობით სურს თავი ისახელოს. გეროსტრატმა ხელოვნების ნაყოფის—ტაძრის დაწვით და დანგრევით ისახელა თავი, ბუზს უნდა იდიოტობით—გონების უარყოფით უნდა ისახელოს თავი.

ბუზი რაღაი შედგა თავის იდიოტობით სახელის მოხვეჭის გზაზე, აღარ ჩერდება შუა გზაზე და სურს დამთავრებულ იდიოტად გადიქცეს.

თურმე ის ვინც პოლიტიკურ თავისუფლებას უარჰყოფს უსათუოდ ეს-დეკების წრეში უნდა ჩაეწეროს.

ეს-დეკები დღევანდელ პირობებში უარჰყოფენ ქართველ ერის პოლიტიკურ ავტონომიას და არა ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კი ყოველ შემთხვევაში, რომლებიც ეხლა შეგვიძლია გავითვალისწინოთ, დიდ უბედურებათ ვთვლით ქართველ ერისთვის პოლიტიკურ თავისუფლებას—გაბატონებულ კლასთა თავისუფლებას. დიახ თქვენ მინიმუმი და მაქსიმუმი ვერ გაგირჩევიათ და მიუხედავად ამისა მინიმუმს უმაქსიმუმოთ და მაქსიმუმს უმინიმუმოთ არ ახსენებთ თქვენი ორკეც ბუგალტერიის პატრონი.

რაც შეეხება ბაკუნინს, რეკლიუს და სხვებს ისინი პროგრამა-მინიმუმის მომხრე თავიანთი მიმართულებით არასოდეს არ ყოფილან. ამასთანავე ცნობილია განხეთქილება გარიბალდის და ბაკუნინს შორის ნაციონალურ კითხვის შესახებ.

როდესაც ბუზს გაუჭირდა „ქარიშხალის“ არა „წმიდა“ ძალებთან საქმე, მაშინ მოჰყვა პირჯვრის წერას და წმინდანების სახელების ლულ-ლულს: გარიბალდი, კოსტიუშკო, მაძინი და სხვა.

ეს მებრძოლნი თავიანთ თავს სოციალისტს არ უწოდებდენ და შეუგნებლად ცდილობდენ პოლშის, ვენგრიის იტალიის „პოგრომშჩიკების“ პოლიტიკურ განთავ-სუფლებას. იტალიის „პოგრომშჩიკებმა“ განთავისუფლდნენ თუ არა შეუდგნენ პოგრომშჩიკობას, პოლშის დაფარული პოგრომშჩიკებს ჩვენებურ ფედერალისტებსავით ბედმა არ გაულიმა, ვენგრია კი დღეს ეწევა რეპეტიციას „პოგრომშჩიკული“ პიესისას.

ფელეტონი

ძირითადი საფუძვლები.

(გაგრძელება *)

წესი და საშვალება განმათავისუფლებელი მოძრაობისა.
წესი და საშუალება პოლიტიკური მოძრაობისა.
თავისუფალი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—სინდიკალიზმი და იძულებითი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—პარლამენტარიზმი.

სოციალურ მოვლენათა განვითარების პროცესი.

საზოგადოებრივი არსებობა, საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ყოველი მოვლენა არსებობს უმცირესი დაბრკოლების წრეში, ე. ი. იმ პირობებში, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მის არსებობას. საზოგადოების არსებობის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესი შესაძლებელია, მაშასადამე, მხოლოდ მაშინ, როდესაც ურთიერთობა საზოგადოების, საზოგადოებრივი განვითარების და მისი არსებობის პირობების, წრის შორის ვითარდება. პროცესი საზოგადოებრივი განვითარებისა ორ გვარია, რადგან ეს ურთიერთობა საზოგადოებრივი არსებობისა და წრის შორის ორ გვარია.

ერთი, როდესაც საზოგადოებრივ განვითარების წრე, რომელშიდაც ეს განვითარება სწარმოებს, აღმოუჩენს უდიდეს დაბრკოლებას და მეორე, როდესაც წრე უმცირეს დაბრკოლებას წარმოადგენს. ამის და გვარად პროცესსიც საზოგადოებრივი განვითარებისა სწარმოებს ორი მხრით ან უმცირესი დაბრკოლებისაკენ, ან უმეტესი დაბრკოლებისაგან.

ეგრედ წოდებული ძველი კულტურები წარმოიშვა დიდ მდინარეთა ხეობებში; ეგვიპტის, ქალდეიის, ჩინეთის და ინდოეთის საზოგადოებრივი ცხოვრება ჩაისახა და განვითარდა ნილოსის, ტიგრის და ეფრატის, იანცსი-

*) იხ. ქარ. № 2.

ჩვენი ნაციონალ-ფედერალისტი ბუზი და ძმანი მ სი შეგნებულად ემზადებიან „პოგრომებისათვის“ თავის მომავალ, პრობლემატიურ შინ მოსახდენად.

უტვინო პუბლიცისტმა Baton-ისაგან ვერ დაისწავლა მაინც, რომ ყველაზე გვიან ადამიანის ბიოლოგიური და ეკონომიური მოთხოვნილება ირღვევაო.

რამდენი ხანია „პუბლიცისტო,“ რომ ნაცია არსებობს?

ძალიან ცოტა, შედარებით ადამიანის საზოგადოებრივ არსებობასთან; მაშასადამე, რომელია უფრო ძირითადი—საზოგადოებრივი ჩაგვრა თუ ეროვნული?

ნუ იტყვით თურმე „ყოველი კეთილ-შობილი მოაზრე“ ,,ასე ფიქრობს და მსჯელობს,'' როგორც ბუზი.

სალამი მის კეთილ-შობილებას ბუზს!

კეთილშობილი ბუზი ბრძანებს რომ „ვინც ამბობს, ერთგულ ჩაგვრას ნუ წინაღუდგებითო, ნება გვაქვს ვუწოდოთ მას ,,მიკიტანი'' და ,,ხულიგანი.'' დიახ ნება გაქვთ. ჩვენ, ერის სოციალური თავისუფლების მომხრეები, ჩვენ კი არ ვართ ერთგული ჩაგვრის წინააღმდეგი, არამედ თქვენ, მომხრეები ერის გაბატონებული კლასის თავისუფლების—ერის პოლიტიკური თავისუფლების, არამედ თქვენ ნაციონალ-ფედერალისტები ,,სოციალ-ფედერალისტებად'' წოდებულნი ბრძანდებით მომავალი ,,პოგრომშჩიკები'' და მაშასადამე ეროვნული ჩაგვრის მომხრეები, ,,მიკიტნები'' და ,,ხულიგანები'' ბუზმა ზარბაზანი გაისროლა თავის ბანაკიდან მტრის ბანაკში, სადაც თავის დანიშნულებით უნდა ჩავარდნილიყო ის, მაგრამ ბუზურ უსუსურობამ ვერ შესძლო მეტი და ისევ თავი ღობის შიგნით დავარდა, ისევ თავის თანამეომრებს მოარტყა.

Прицѣлился в ворона, попал в корову

სოც-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უძმოთ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე. *)

„ისრის“ მერანი, იგივე აქლემი დარბის „ისრისავე“ ასპარეზზე თვალ დახუჭული. იმტკიცედ დარწმუნებულია თავის აქლემობაში და ამ ცრუ რწმენით თვალებ დაბნელებულ

*) იხ. ქარ. № 2.

კიანგის, ინდის, და განგის ხეობებში, რომლებიც შეადგენდნენ ამ საზოგადოებათა ჩასახვის და განვითარების ხელის შემწყობ პირობებს, ე. ი. უმცირესი დაბრკოლების წრეს მათი არსებობისათვის, მოძრაობისათვის.

ამ გვარადვე ევრედწოდებული ხმელთა შუა ზღვის კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარდა ხმელთა-შუა ზღვის მიდამოში. ხმელთა-შუა ზღვა აერთიანებს ქვეყნის სამ ნაწილს და ყოფს კიდეც ერთი მეორესაგან. სანამ მას გადასჭრიდა სავაჭრო და სამხედრო გემები, მანამ ის წარმოადგენდა უმეტეს დაბრკოლებას მტრული ძალებისათვის, რის გამო მის გარშემო ხალხები დაცული იყვნენ ამ მხრით შემოსევისაგან, შემდეგ კი, როდესაც ადამიანები შეეზილნენ და შეიგუენ ზღვას, ის შეიქმნა უმცირესი დაბრკოლების გზა, რომელიც აადვილებდა, ხელს უწყობდა საზოგადოებათა შორის ურთიერთობას.

ყოველი არსება ვითარდება მხოლოდ მისი არსებობის და განვითარების ხელის შემწყობ პირობებში, რომელშიდაც ის ნაკლებ ენერგიის ხარჯით სძლევს უმეტეს დაბრკოლებას და ამგვარ წრეს, ამ გვარ ცხოველმყოფელ პირობას საზოგადოებრივი არსებობის და განვითარებისათვის უმეტესი დაბრკოლებიდან და თავისუფლებიდან უმცირესი დროს და ენერგიის ხარჯით უმცირესი დაბრკოლებისაკენ და თავისუფლებისაკენ უმეტესი ნაყოფის გამოღებით წარმოადგენს ხმელთა-შუა ზღვის ბასეინი.

დღეს უკვე ცნობილია და ახალი ფაქტები ახლობელი წარსულისა ამტკიცებენ, რომ ოკეანეთა სისტემა არის კიდევ უფრო უმეტესი წრე უმცირესი დაბრკოლებისა. ინგლისის, ავსტრალიის, იაპონიის და სხვა ოკეანის წრეში მყოფ საზოგადოებათა ცხოვრების განვითარება ამტკიცებს, რომ ოკეანე არის მეტად ხელის შემწყობი პირობა საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

ბრძოლა საზოგადოებისა ზღვასთან ეს პროცესსი ამ ბრძოლისა, რომელიც მიმდინა

არავის ჩირად არ აგდებს. ის თავის სიბრძის წყალობით ვერავის ხედავს და ᲐᲒᲝᲜᲘᲐ, რომ ვერც სხვა ამჩნევს მის დახლართულ, მრუდე ფეხებს და კუზიან ზურგს. მისთვის სამწერლო ასპარეზი ლიტერატურულ უდაბნოთ გადაქცეულა და თავის თავი ერთად ერთ მწერალ და მკითხველ ეგზემპლიარად მიაჩნია. ეს გარემოება ნებას აძლევს წამოროშოს ყველაფერი, რაც კი მოადგება აქლემურ ენაზე და ანდოს ქაღალს ყოველი აბსურდი, რომელიც კი დაეტევა მის აქლემურ გონებაში.

აი აქლემური ლიტერატურის ნიმუშებიც.

„ჩვენთვის, როგორც აქტიურ სოციალზმის მოᲑᲮრეთათვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემოქმედებითს, თანდათანობითს მუშაობას, რომელსაც ასე საშინლად გაურბიან როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე ანარქისტები. წინა წერილში ვთქვი და ეხლაც გავიმეორებ, რომ თანდათანობა ჩვენ იმ აზრით არ გვესმის, როგორც რეფორმისტებს. რეფორმისტები თავიანთ თანდათანურის პოლიტიკით არსებულ წეს წყობილების საზღვრებს არა სცილდებიან, მთელ თავიანთ მოქმედებასა და იმედებს დეგარულს, კანონიერს მუშაობაზე ამყარებენ. ჩვენს მიზანს კი ის უნდა შეადგენდეს, რომ ბრძოლა თვით წეს წყობილების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მის საფუძვლებს შეხოს...

ჩვენის ასეთის პოზიციიდან, რა თქმა, უნდა, შესაფერისი ტაქტიკაც გამომდინარეობს; ჩვენ არც სოციალ-დემოკრატების პოზიცია მიგვაჩნია ᲬᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ და არც ანარქისტებისა, მაშასადამე, ჩვენ ვერც ერთის ტაქტიკას მოვიწონებთ და ვერც მეᲒᲝᲠᲘᲡᲐ. ჩვენ უარვყობთ, როგორც სოციალ დემოკრატების განსაკუთრებულ დეგარულ ბრძოლას, რომელსაც შედეგად ყოველთვის გაოპორტუნისტება მოსდევს ხოლმე, ისე ანარქისტების განსაკუთრებულ რევოლიუციონერობას, მათს შეხედულებას პარლამენტალურ ბრძოლაზე. ჩვენს მოვალეობას მხოლოდ ის უნდა შეადგენდეს, რომ ამ ორგვარ ბრძოლის შორის მტკიცე და ნათელი საზღვარი იქმნას გაყვანილი, სრული ბოიკოტი პარლამენტალურ ბრძოლისა რეაქციონური საქმეა, იგი მუშა ხალხს ვნებას თუ მოუტანს, თორემ სარგებლობას ვერა სოდეს“.

„ჩვენ ვიცით, რომ სოციალისტურ წეს წყობილებას პარლამენტის საშუალებით ვერ განვახორციელებთ და ამიტომ მასზე ჩვენს იმედებს არც ვამყარებთ. მაგრამ თუ დავინახეთ, რომ პარლამენტის საშუალებით შეიძლება ისეთის ცვლი-

---

რეობს უმცირესი დაბრკოლებისაკენ დამტკიცებულია იმ დიადი კულტურული ძალით, რომელსაც შეიცავს ინგლისი. ადამიანის გამარჯვება ზღვის სივრცის წინააღმდეგ იმავე დროს ხმელეთზე გამარᲯვებაა. უმეტესი ზღვის სივრცის დაპყრობა არის ისტორიული ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡ სივრცის გავრცელება. მაგრამ ცხადია ამასთანავე ისიც, რომ, თუ ადამიანთა საზოგადოება სავსე თასით ᲔᲖᲘᲓᲔᲑᲐ თავის სასარგებლოდ, თავის განვითარებისათვის ენერგიას ზღვიდგან და ოკეანედგან, ეს იმას ნიშნავს რომ ზღვა რეზერვარია იმ ენერგიის, რომელიც გროვდება საზოგადოების გულში და ამით შეწყობილია ხელი საზოგადოებრივი განვითარების მოძრაობაში, რომელიც იმავე წყაროდგან მიმართულია უმცირესი დაბრკოლებისაკენ, რადგან ზღვა კულტურისათვის საჭირო საზოგადოებრივი ენერგიის წყაროა; კულტურა კი წესია, რომელიც სწარმოებს დაბრკოლებათა დაძლევით, მოძრაობით უმცირესი თავისუფლებიდგან უმეტესი თავისუფლებისაკენ სიᲐᲕᲠᲪᲘᲡ, ᲓᲠᲝᲘᲡ შემოᲯᲔᲑᲘᲗ და ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ეკᲝᲜᲝᲛᲘᲘᲗ.

ასეთია პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, საზოგადოებრივი მოქმედებისა, მოძრაობისა და ბრძოლისა თავის საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ გვარსავე გარემოებაშია საზოგადოებრივი ბრძოლის პროცესი იმ წრეში, რომელსაც ხმელეთი ᲰᲥᲕᲘᲐᲜ. ისტორიული მოძრაობა, საზოგადოებრივი განვითარება დაჩქარებული და გაადვილებულია ვაკეში. ყოველი სუსტი საზოგადოებრივი ცხოვრება სუსტად დაცულია ვაკეში უმძლავრესი მტრისაგან, რომლისთვისაც ვაკე წარმოადგენს გზას უმცირესი დაბრკᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ვაკე ხელს უწყობს, როგორც მეᲯᲝᲒᲝᲝᲑᲐᲡ, ნომადთა მოძრაობას, ისე მიწადმოქმედებას; ის აკმაყოფილებს მოთხოვნილებას საზოგადოებრივი არსებობისას იმ გვარადვე, როგორც ხელს უწყობს მის დარ-

ლებების მოხდენა რომლებიც, მარათლა, სოციალისტურ იდეალისაგან დაშორებულნი არიან, მაგრამ მშრომელ ხალხისთვის კი მაინც სასარგებლოა, ჩვენ მივიღებთ მონაწილებას პარლამენტში". „მაგრამ ჩვენ არ ვითარი საბუთი არა გვაქვს საკითხს ან ერთის თვალსაზრით შევხედოთ ან მეორისა, რადგან როგორც რევოლიუციონიზმი, ისე ლეგალიზმი თავისთავად მიზანს არ შეადგენს. ჩვენს მიზანს სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება შეადგენს და ამიტომ ტაქტიკის გამორკვევისა და დათვსების დროს განსაკუთრებით ამ თვალსაზრით უნდა ვისარგებლოთ. და თუ ჩვენს მიზანს სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება შეადგენს, ამისათვის შესაფერისი ზომებიც უნდა იქმნას მიღებული".

„საჭიროა შეკავშირება მშრომელ ხალხისა ერთის მხრით პროფესიონალურ ორგანიზაციებად, მეორის მხრით კი პოლიტიკურად".

ს.-ფედერალისტებისათვის, როგორც მოყვანილი ადგილებიდგან სჩანს, „დიდი მნიშვნელობა" ჰქონებია „შემოქმედებას. „სოციალ-დემოკრატები, და ისე ანარქისტები" „საშინლად გაურბიან" ამ გვარ მუშაობას ს. ფედერალისტურმა რუქამ არაკი სთქვა, და არაკი, რომელიც ხშირად გაუგონია და ბოლოს კიდეც დარწმუნებულა არაკის სინამდვილეში. მაგრამ, რალაი დაინახა ამ გვარი სინამდვილის მონელეობის შეუძლებლობა, ცდილობს განმარტოს განსხვავება თავის თანდათანობის წარმოდგენისა ანარქისტების და ს.-დემოკრატების თანდათანობისაგან. იმას „თანდათანობა" „იმ აზრით არ" ესმის, „როგორც რეფორმისტებს", რადგან „რეფორმისტები თავიანთ თანდათანურის ბოლიტიკით არსებული წესწყობილების საზღვარს არა სცილდებიან, მთელ თავიანთ მოქმედებასა და იმედებს ლეგალურს, კანონიერს მუშაობაზე ამყარებენ". ანარქისტები ს.-დემოკრატებს უსაყვედურებდენ ტაქტიკაში ბურჟუაზიული მიდრეკილების შეტანას: ისინი ეუბნებოდენ და ეუბნებიან მათ, რომ ლეგალური—კანონმდებლობითი მოღვაწეობა არ არის რევოლიუციონური და მუშური, რევოლიუციის შემაფერხებელია, ე. ი. რეაქციონური პარლამენტალურ ლეგალურ ბრძოლას მუშა კლასისთვის სასარგებლო რეფორმების მოსახდენათ—ზევიდგან რეფორმების მიღებას—სჯობია პირდაპირი მოქმედება, ქვევიდგან ზევით, რაც ამზადებს და ავარჯიშებს მებრძოლ პროლეტარიატსო. ყური მოუკრავს ამ გვარ საყვედურებისათვის ფედერალისტთა ფალავანს და ს.-დემოკრატებს

ლვევას და გადაშენებას აბალი უფრო მძლავრი საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებას, რომლისთვისაც ის უფრო ხელის შემწყობი პირობა, წრე, უმცირესი დაბრკოლების აღმომჩენია ვინემ მის მოადგილე ძველი საზოგადოებისათვის.

მცენარეული ტანთსაცმელი, რომლითაც შემოსილია ხმელეთი მოქმედებს ან როგორც ხელის შემწყობი, ან როგორც ხელის შემშლელი, დამაბრკოლებელი წრე საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

იქ, სადაც ნიადაგი დაფარულია ბალახით, ჩვენ ვხედავთ ნომად, მწყემსურ ცხოვრების განვითარებას. იქ კი, სადაც დედამიწა დაფარულია უზარმაზარი ტყეებით ამავე დროს მოიპოვება მრავალი ჭაობები ტბები და მდინარეები, რომლებიც ჰყოფენ ხალხებს, რის გამო ტყე ხდება ამ გვარად მოძრაობის დამაბრკოლებლად და თავის დაცვის ხელის შემწყობ პირობად. ტყე და მისი ატრიბუტები ერთი მხრით წარმოადგენენ წრეს, რომელიც მოითხოვს უმეტესი ენერგიის ხარჯს უმცირესი ნაყოფის გამოღებით დროს და სივრცის ფლანგვას—მეორე მხრით კი წარმოადგენს ეკონომიას ენერგიისას, დროის, სივრცის, და უმცირეს დაბრკოლებას, უმეტეს თავისუფლებას.

წრის ერთი ფორმიდგან მეორე ფორმაში გადასვლის წერტილი წარმოადგენს საზღვარს განსხვავებულ ისტორიულ და კულტურულ მოძრაობისა. და სწორედ ამიტომ მთებში და მის კალთებში სწყდება ბედი ისტორიულ და კულტურულ განვითარებისა საზოგადოებათა ცხოვრებაში ისე, როგორც ზღვის მდინარის და ოკეანეთა ნაპირებზე, იქ სადაც ხმელეთი და წყალი ერთი მეორეს საზღვრავენ, იმ გვარ შემთხვევაში, როდესაც ისტორიულ და კულტურულ მოძრაობის გზაზე მთები გადაეღობება ხოლმე, ცხადია ამათი ორ მხრივი მნიშვნელობა, რაც მტკიცდება იმ ფაქტიდგან, რომ ცენტრალური აზია ჰყოფდა და ჰყოფს დღესაც

უკიჟინებს ანარქიზმის კალთაში ამოფარებული. ამიტომ, ამბობს, სოც.-დემოკრატების სიძულვილით გაანარქისტებული სოციალ-ფედერალისტი: „ჩვენ არც სოც.-დემ. ბოზიციაა მიგვაჩნია ᲙᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ და არც ანარქისტებისა“, ჩვენ ვერც ერთის ტაკტიკას მოვიწონებთ და ვერც მეორისას“. „ჩვენ უარვყოფთ, როგორც ს.-დ. განსაკუთრებულ ᲓᲔᲒᲐᲠᲣᲚ ბრძოლას, რომელსაც შედეგათ ყოველთვის გაᲝᲑᲝᲠᲢᲘᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲐ მოსდევს ხოლმე, ისე ანარქისტების განსაკუორებულ რᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝᲑᲐᲡ“.

სიძულვილი საძულელი რამეის საჭიროა, მაგრამ სიძულვილისაგან დაბრმავება არ არის სასურველი. სოც.-დემოკრატების სიძულვილით ჩვენი ახლად გამოჩეკილ იდეოლოგი ანარქიზმში ვარდება და ანარქიზმის დაფარული სიძულვილით სოც.-დემოკრატიზმში. ის ს.-დემ. ოპორტიუნიზმზე ლაპარაკობს და თვით ოპორტიუნისტია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის სიძულვილით ოპორტიუნისტია. თავის საკუთარ საბუთებს მაინცა და მაინც არ ᲰᲠᲝᲕᲔᲑᲡ საჭიროდ თავის ოპორტიუნიზმის დასამყარებლად, ის მხოლოდ ცდილობს ანარქიზმის საშვალებით სოც.-დემოკრატიზმი გააბათილოს და ანარქიზმი სოც.-დემოკრატიზმის საშვალებით.

თუმცაღა ორივე ტაკტიკის მიმართულების უარყოფა მოითხოვს თავის განსაკუთრებულ ტაკტიკის წამოყენებას, მაგრამ ამის მაგიერ ჩვენ სულ სხვა რამეს ვხედავთ. მისი ტაკტიკა (მიზანი, როგორც ეს ვაᲟᲑᲐᲢᲝᲜᲘ ამბობს) შესდგება იმაში, „რომ ბრძოლა თვით წეს-წყობილების წინააᲦᲛᲓᲔᲒ იყოს მიმართული, მის საფუძვლებს შეეხოს. ეს ბრძოლა კი უნდა სწარმოებდეს, როგორც ᲰᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ისე ᲰᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ გარეშე ერთ და იმავე დროს, როგორც უკვე მოყვანილ მისი სიტყვებიდგან სჩანს: „რადგან როგორც რᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ, ისე ᲓᲔᲒᲐᲚᲘᲖᲛᲘ თავის თავად მიზანს არ, შეადგენს და ამიტომ საჭიროა ერთად, ერთ და იმავე დროს „შეკავშირება მშრომელ ხალხისა ერთის მხრით ᲰᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ორგანიზაციებად, მეᲝᲠᲔᲘᲡ მხრით კი ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ“. ცხადია რომ პარტია ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ორგანიზაცია—და პროფესიონალური ორგანიზაცია—ეკონომიური კავშირი—ერთი მეორესთან შეკავშირებული უნდა იყოს, რადგან ეს ორი ორგანიზაცია ერთ და იმავე მშრომელთა ორგანიზაციად, ორ მხარედ არის მიღებული. პარლამენტი საჭირო ყოფილა იმიტომ, რომ „სრული ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ პარლამენტალურ ბრძოლისა

იმ საზოგადოებათ, რომლებიც მას გარს ახვევია. აგრეთვე ცხადია მთების მნიშვნელობა კავკასიის ცხოვრებაში, კავკასიის, რომელმაც ისტორიული კისერ სატეხი დაბრკოლების როლი შეასრულა ხალხთა, საზოგადოებათა ისტორიულ მოძრაობაში. ცნობილია ყოველ მთიულ საზოგადოებათა წევრების ზნე ჩვეულება და დამოუკიდებელი ხასიათი. როდესაც ვაკის საზოგადოება დახასიათებულია სივრცის სიმცირით მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით, მაშინ მთიული საზოგადოება დახასიათებულია სივრცის სიჭარბით და მცხოვრებთა სიმცირით. ცხადია დღესავით, თუ როგორი დამაბრკოლებელია მთიანი ადგილი მტრული განწყობილებისათვის და ისიც, თუ როგორ ახერხებს მცირე რიცხოვანი საზოგადოება თავის დაცვას მძლავრი მტრისაგან, მაშინ როდესაც ვაკე ხელს უწყობს, როგორც მის განვითარებას ისე დაღუპვას.

ჩვენ აღარას ვიტყვით სივრცეზე, რომელიც ყინულთა სამფლობელოს წარმოადგენს, რადგან ამ გვარ წრეში შეუძლებელი არის ყოველი საზოგადოებრივი განვითარება.

ვნახოთ ეხლა რა მნიშვნელობა აქვს ᲰᲐᲔᲠᲝᲕᲐᲜ სივრცეს, წრეს ᲣᲠᲝᲛᲚᲝᲓᲐᲪ არავითარი ორგანული არსებობა არ არის შესაძლებელი და მაშასადამე არც საზოგადოებრივი.

როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება რიცხვით და სივრცით, ის იძულებულია გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეში და თანდათან დაიპყრას სივრცე, დასძლიოს თანდათან ახალ ახალი დაბრკოლება. ამ მოძრაობაში ის იძულებულია ერთი გეოგრაფიულ სარტყელიდგან მეორეში გადავიდეს ერთი წრიდგან მეორე წრეში, მაშასადამე იძულებულია შეეზილოს იმ წრეს, დასძლიოს ის დაბრკოლება, რომელიც მისი განვითარების გზაზე უხვათ არის გაბნეული; ყოველი თვითეული საზოგადოება, ყოველი ხალ-

რეაქციონური საქმეა“ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ვაჟბატონმა იცის, „რომ სოციალისტურ წეს წყობილებას პარლამენტის საშვალებით ვერ განვახორციელებთ“, მაგრამ თუ ამ მოსაზრებასაც მხედველობაში არ მივიღებთ ვნახავთ, რომ „პარლამენტის საშვალებით შეიძლება ისეთი ცვლილებების მოხდენა, რომლებიც მშრომელ ხალხისათვის კი მაინც სასარგებლოა“ და ამიტომ „ჩვენ მივიღებთ (ს. ფედერალისტები) მონაწილეობას პარლამენტში“.

გველის და მისი ტყავის გამოცვლის ისტორის მსგავსია სწორედ ოდისეია სოც.-ფედერალისტების მიერ წამოყენებულ უდაბნოს მწერლის აზრების საქმე.

დაიწყო ამ ვაჟბატონმა იმათ, რომ ჩვენი თანდათანობა სხვაა და სოციალ-დემოკრატების სხვაო. ს.-დემოკრატები „თავიანთ თანდათანური პოლიტიკით არსებული წეს-წყობილების საზღვარს არა სცდებიანო“, შემდგომ სთქვა, რომ ს.-დემოკრატები განსაკუთრებით, საგსებით ლეგალურ ბრძოლის ნიადაგზე—საგსებით პარლამენტარისტები არიანო; ამ გვარად ის გაუმასპინძლდა სოც.-დემოკრატებს ანარქისტული არგუმენტით; შემდგომ ჯერი მიდგა თვით ანარქისტებზე. მან დაჰგმო ანარქისტების ანტიპარლამენტარისტობა, იმიტომ რომ პარლამენტის საშვალებით შეიძლება მუშა კლასისთვის ასასრგებლო რეფორმების შემოღებაო; აქედგან მივიდა იმ დასკვნამდის, რომ პარლამენტის უარყოფა რეაქციონერობაა (ვყურობთ განა! მაგრამ ამასთანავე გვესმის ს.-ფედერალისტების სოციალისტური აქციების ბირჟაზე კურ'ის, ფასების მოძრაობის ამბავი).

ამიტომ პარლამენტარიზმის სრული უარყოფა, ანარქისტების განსაკუთრებული რევოლიუციონიზმი და საგმობათ მიაჩნია ჩვენ „კრიტიკოსს“. ბოლოს ჯერი მიდგა თვით მის და მის ძმათა ტაქტიკაზე.

თუ საგსებით პარლამენტარიზმი—ლეგალიზმი არ ვარგა, თუ განსაკუთრებულად პარლამენტალური და ლეგალური თანდათანობა არ ვარგა, თუ საგსებით რევოლიუციონიზმი და ილლეგალიზმი, პირდაპირი მოქმედება არ ვარგა, თუ პარლამენტს შეუძლია სამსახური გაუწიოს რამოდენიმედ მუშათა კლასს, თუ ამ გვარადვე რევოლიუციონურ ტაქტიკას შეუძლია ამ გვარივე სამსახური, თუ ამასთანავე სოციალიზმი პარლამენტის საშვალებით შეუძლებელი, შესაძლებელია რევოლიუციონური, ანარქისტული ტაქტიკით, მაშინ, დაასკვნის ს.-

---

ხი შეზელილია იმ ბუნებას რომელშიდაც ის სცხოვრობს და თუ საზოგადოება ძლიერ ხანგრძლივ შეეზიდა ერთ განსაკუთრებულ წრეს, თუ ის მეტად უძრავია, მაშინ თავის ხანგრძლივი განვითარების შემდეგ, ის უფრო ძნელად შეეგუება ახალ წრეს, რომელსაც მოითხოვს თვით მისი განვითარების უკანასკნელი მომენტი, რამოდენად მისი წრის უცვლელობა და ერთ გვარი შეგუება მის შესახებ უცვლელ წრესთან ხანგრძლივი იყო. ამ შემთხვევაში ის გადაგვარებას იწყებს—მისი მოძრაობა უმცირესი დაბრკოლებისაკენ, უმეტესი თავისუფლებისაკენ შეჩერებულია და მიიღებს წინააღმდეგ მიმართულებას.

ურიები და ჩინელები უფრო ადვილად ეზილებიან ყოველ გვარ ჰავას, მაშინ როდესაც ზოგი ერთი ხალხი ვერ უძლებს ადვილად ჰავის ცვალებად მოქმედებას. ცნობილია გავლენა ცხელი და ცივი ჰაერის ადამიანის მოქმედებაზე, ტემპერამენტზე. რამოდენად ჰავა ტემპერატურა წრის, რომელშიდაც ადამიანი სცხოვრობს ხელს უწყობს მის საზოგადოებრივ განვითარებას, იმოდენად ჰავა წარმოადგენს პირობას, წრეს უმცირესი დაბრკოლებისას და წინააღმდეგ; ჰაერი, ჰავა თავის მხრით წარმოადგენს ენერგიის რეზერვუარს, რომლისაგანაც საზოგადოებრივი ცხოვრების ენერგია საზრდოობს. მაშასადამე საზოგადოებრივი ცხოვრება ჰავის მხრით მოძრაობს ან უმცირესი, ან უმეტესი თავისუფლებისაკენ, ან უმცირესი, ან უმეტესი ენერგიის ხარჯით.

ვნახოთ ეხლა, რა მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა გზებს რომლითაც სწარმოებს, საზოგადოებრივ ურთიერთობა. როგორც ურთიერთობის გზა, ეკე უფრო ხელს უწყობს საზოგადოებრივ ურთიერთობას და გაერთიანებას. მდინარე მით უფრო უკეთესი გამაერთიანებელი დამაკავშირებელი წრეა რამოდენათ ის მოძრავი მოლეკულებისაგან შესდგება, რამდენად მოძრაობას ხელს უწყობს. ცხადია აქედგან თუ რა მნიშვნელობა აქვს ხმელთა

ფედერალისტი, ჩვენ უნდა მივიღოთ ორივე საშვალება, პარლამენტ-რიზმიც კანონმდებლობითი მოქმედება, რეფორმა-ზევიდგან—და რევოლიუციონიზმიც—კანონის უარყოფა, პირდაპირი მოქმედება, რეფორმა ქვევიდგან ზევით, ერთი სიტყვით სოციალ ფედერალისტები უნდა იყვნენ ერთ და იმავე დროს პარლამენტარისტებიც და ანტიპარლამენტარისტებიც. მაგრამ ეს შესაძლებელია სინდიკალიზმის პარლამენტს გარეშე მოძრაობად აღიარებით; ამ რიგად ს.-ფედერალისტთა „კრიტიკოსი“ არის ერთ და იმავე დროს პარლამენტარისტიც და სინდიკალისტიც, რამოდენიმედ და არ სავსებით, განსაკუთრებით (მისი სიტყვაა) პარლამენტარისტი, როგორც ს.-დემოკრატები, რამოდენიმედ სინდიკალისტი, რევოლიუციონერი—პირდაპირი მოქმედების მომხრე და არა სავსებით, განსაკუთრებით რევოლიუციონერი, როგორც ანარქისტები. სოც.-ფედერალ. მაშასადამე მისი აზრით არის, ნახევრად სოც.-დემოკრატი, ნახევრად ანარქისტ—ის ჯორია პოლიტიკური, რომელიც წარმოიშვა პოლიტიკური და ანტიპოლიტიკური ორი სოციალური მიმართულების შეუღლებისაგან.

ჭიანჭველამ, როგორც ვნახეთ დაიწყო საყვედურით, რომ ს. დ. „არსებულ წეს-წყობილების საზღვრებს არ სცდებიანო“, სთქვა მათ წინააღმდეგ წმინდა ანარქისტული აზრი, რომ „ბრძოლა თვით წეს-წყობილების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მის საფუძვლებს შეხოს“ და დაასკვნა, რომ პარლამენტი და პარლამენტარიზმი, რომელიც ახასიათებს დღევანდელ წეს-წყობილებას უნდა იქნას დაცული, სულ თუ არა რამოდენიმედ მაინცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა და კანონიერება არსებული წეს-წყობილების საზღვრების დაცვა და ცნობაა, ის ცდილობს გადასცდეს ლეგალიზმს, მაგრამ ამასთანავე უნდა ლეგალისტი—პარლამენტარისტი იყოს ჭიანჭველა ანგრევს თანამედროვე წეს-წყობილების საფუძვლებს, გაიძახის, რომ, ბრძოლა თვით წეს-წყობილების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მის საფუძვლებს შეეხოსო“ და მიუხედავად ამისა ის ცდილობს უარჩყოს რევოლიუციონიზმი, ილლეგალიზმი და ცდილობს დარჩეს ლეგალისტი და პარლამენტარისტი წეს-წყობილების და ამ წეს-წყობილების საფუძვლების დანგრევა და დარღვევასთან ერთად.

შუა ზღვას შედარებით მდინარებთან და ოკეანეს შედარებით ხმელთა შუა ზღვასთან.

მაგრამ როდესაც სისტემა საზოგადოებრივ ურთი ერთობისა, რომელიც განხორციელებულია მდინარის, რკინის გზის, ზღვის და ოკეანეთა საშვალებით შევსებული იქმნება ჰაერის საშვალებით, ე. ი. მოძრაობით იმ წრეში, რომელიც წარმოადგენს კიდევ უფრო უმცირეს დაბრკოლებას საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის, და რომელიც აღარ შეცავს უსწორმასწორობის, უთანასწორების წრეს საზოგადოებრივ დახლოვებისათვის, ამტირებს დაბრკოლებას საზოგადოებათა შორის, მაშინ ბრტცესი ურთიერთობისა მიაღწევს თავის უმაღლეს წერტილს, რომელსაც ახალი საზოგადოებრივი ეკონომია მოჰყვება.

როდესაც საზოგადოებრივი განვითარება სწარმოებს უმცირესი დაბრკოლებისაკენ უმცირესი ძალის დროის და ენერგის ხარჯით და უმეტესი ნაყოფით—უმცირესი თავისუფლებიდგან უმეტეს თავისუფლებისაკენ, მაშინ განსაკუთრებული საზოგადოება თვით თავის თავათ, თავის მოთხოვნილების და გვარად ვითარდება იმ წრეში, რომელიც წარმოადგენს მისთვის უმცირეს დაბრკოლებას; საზოგადოება ამ შემთხვევაში თვით და პირდაპირ შეეზილება თავის წრეს: ის პირდაპირ მოქმედებს თავის წრეზე და წინააღმდეგ; მაშინ კი როდესაც საზოგადოება მომწყვდეულია ისეთ წრეში, რომელიც წარმოადგენს მისთვის დაბრკოლებას, ხელს უშლის მის შემდეგ განვითარებას, მაშინ ის იძულებულია შერჩეს ხელის შემშლელ წრეში, შემოფარგულია მისი განვითარების დამაბრკოლებელ წრეში გარეშე მტრული საზოგადოებრივი მოძრაობით; ხალხთა მოძრაობის და შეჯახების წერილობის არქივში დაცული ისტორია მოგვითხრობს ან ხელოვნურ-იძულებით გადაშენებას და მოსპობას საზოგადოებათა, ან მათ შემოფარგვას მეტად დამაბრკოლებელ წრეში, მათ ხელოვნურ არა პირდაპირ შერჩე-

ყველაფერი რა აბსურდებიც ჭიანჭველამ შეჰქმნა „ისრის“ ქარხანაში მოახერხა ორი მოსაზრებით. ერთი, პარლამენტის საშვალებით შესაძლებელია მუშათათვის სასარგებლო რეფორმების შემოღება, მაგრამ იგივე პარლამენტი უვარგის საშვალებაა მუშათა საბოლოვო მიზნის—სოციალიზმის განსახორციელებლად, ამიტომ პარლამენტით სარგებლობა საჭიროა სხვათა შორის; პოლიტიკური საშვალებით შეიძლება სამსახური გაუწიოთ მუშებს. მეორე მხრით როგორც პარლამენტარიზმს შეგვიძლია რევოლიუციონური საშვალებაც ვიხმაროთ თუ სინდიკალიზმს პარლამენტის გარეშე და არა ანტიპარლამენტალურ მოძრაობად დავსახავთ.

თუ პარლამენტის საშვალებით სოციალიზმის განხორციელება არ შეიძლება არ შეიძლება არავითარი სხვა მუშათაითვის სასარგებლო რეფორმაც, რადგან პოლიტიკური საშვალება ხელოვნური, იძულებითი საშვალებაა. ამ გვარი საშვალება კი იმათ ხელშია ვინც პატრონი და ბატონია ამ გვარი საშვალების თუ სოციალიზმის განხორციელება სოციალისტების პარლამენტალური უმრავლესობით უტოპიაა, მაშინ რეფორმა პარლამენტალური სოციალისტების უმრავლესობით პარლამენტში ამ გვარივე უტოპიაა და თუ პარლამენტი რამეს დღემდი გადმოუგდებდა პროლელარიატს ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გვარი გულუხვობა პროლეტარიატის სასარგებლო იყოს, წინააღმდეგ დემოკრატიული მოწყალეობა ზევიდგან ქვევით რეაქციონურია, რასაც ლაბრიოლა ამტკიცებს თავის სინდ. და რეფორმიზმში, თუმცაღა საერთო მსოფლ მხედველობა ლაბრიოლასი ძლიერ ბუნდოვანია თვით მისთვისაც კი, როგორც ჩვენ გვგონია.

სინდიკალიზმი კი წმინდათ უარს ჰყოფს პოლიტიკას და პარლამენტარიზმს თავის ფარგალში. თუ იმას ლაგარდელი პარლამენტს გარეშე მოძრაობას უძახის, ეს მისი ნებაა, მაგრამ თუ რომელიმე ორგანიზაცია არ ხმაროობს რომელიმე საშვალებას ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საშვალება მისთვის უვარგისია, გამოუსადეგარია, თქვენ გინდა გარეშე დააგდეთ და გინდ სულ გადააგდეთ. *)

„ისრის“ სოციალისტი გვეუბნება, რომ „როგორც რევოლიუციონიზმი, ისე ლეგალიზმი თავის თავად *) მიზანს არ შეადგენს. ჩვენ მიზანს სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება შეადგენს და ამიტომ ტაქტიკის გამორკვევასა და დაფასების დროს განსაკუთრებით ამ თვალ-საზრით უნდა ვისარგებლოთ“... „ამისთვის შესაფერისი ზომებიც უნდა იქნას მიღებული.“

ძლიერ კარგი, მაგრამ თუ ჭიანჭველას მიზანს სოციალიზმის განხორციელება შეადგენს, თუ ამიტომ ტაქტიკაც ამ მიზნის-დაგვარად, შესაფერი უნდა იქნას, თუ ზომაც შესაფერი უნდა იყოს, მაშინ ბძანეთ რაში შესდგება მეთოდი, რომელმაც უნდა გამოიძიოს ეს? ჭიანჭველის მეთოდი შესდგება უმეთოდობაში, რაც ჭიანჭველას შეუსაბამო მადას წერისას ზედვე ეტყობა.

თუ მიზანი სოციალიზმია, მაშინ ცხადია რომ მიზანი სოციალ-ეკონომიურია და არა პოლიტიკო-ეკონომიური; პოლიტიკური სოციალიზმი შეუძლებელია, შეუძლებელია სახელმწიფოებრივი სოციალიზმიც.

სოციალიზმი ერთია: ეკონომიური განთავისუფლება და პოლიტიკის მოსპობა. პოლი-

*) ჩვენ გვექნება შემთხვევა ვილაპარაკოთ ვრცლად სინდიკალიზმის შესახებ.

2) კურსივი ჭიანჭველასია.

ვას გარეშე საზოგადოების მიერ; ერთი საზოგადოებანი იძულებულნი არიან უმეტესად დამაბრკოლებელ წრეში ცხოვრების, ენერგიის, და დროის ფლანგვას მეორე საზოგადოებათა მიერ და მათი განვითარების მოხერხებით—საზოგადოებრივ პირდაპირი შეზელას თავის ბუნებრივ წრესთან, საზოგადოებრივ განვითარებას, მოქმედებას პირდაპირ თავის წრეზე ხელს უშლის მეორე საზოგადოება, რომელიც პირველ საზოგადოებას და მის წრის შორის წარმოადგენს მოძრაობის და მოქმედების გამაბრუდებელ, არა პირდაპირი მოქმედების პირობას საშუალო სივრცეს, რომელიც ისუნთქავს სხვა საზოგადოებრივ ენერგიას და ფლანგვას თავისას.

ვნახოთ ეხლა როგორია შინაგანი პროცესი საზოგადოებრივი განვითარებისა.

(შემდეგი იქნება).

ტიკა დაიბადა და გაიზარდა მთავრობასთან, სახელმწიფოსთან ერთად, საზოგადოება და ეკონომიური მოღვაწეობა ადამიანისა კი მთავრობაზე უფრო ადრე არსებობდა, საზოგადოებრივი ცხოვრება და ეკონომიური მოქმედება ბუნებრივია და მაშასადამე უფრო ძველად და გვიან მოისპობა პოლიტიკა და სახელმწიფო კი ხელოვნურია, ესენი წარმავალნი არიან. თუ სოციალიზმი ეკონომიური განთავისუფლებაა თავის შედეგით სახელმწიფოის და პოლიტიკის მოსპობით, მაშასადამე მისი განხორციელებაც შესაფერი საშუალებით შეიძლება—ეკონომიური საშუალებით; ეკონომიურ საშუალებას კი ეკონომიური იარაღი შეეფერება.

ცხადია, რომ სოციალიზმი, როგორც ეკონომიური და საზოგადოებრივი თავისუფლება უნდა განხორციელდეს პირდაპირი ბრძოლით, ე. ი. ეკონომიური ბრძოლით—გაფიცვით, რომელიც მიიღებს თავის განვითარებაში შესაფერ და რევოლიუციონურ ხასიათს;

ცხადია მაშასადამე, რომ სინდიკატი არის ის ეკონომიური იარაღი, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს საერთო გაფიცვა, რომელმაც თავისი რევოლიუციონური განვითარებით უნდა განახორციელოს საბოლოვო მიზანი ეკონომიური და საზოგადოებრივი განთავისუფლებისა.

თუ სოციალიზმი მიჩნეულია, როგორც მხოლოდ პოლიტიკური მოძრაობა, მაშინ ლაპარაკი და დამტკიცება იმ-ს, რომ ამ გვარი მიზანი ბურჟუაზიულია, მეტად მიგვაჩნია, რადგან ეს ისედაც ცხადია.

თუ სოციალიზმი მიჩნეულია, როგორც პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა ერთ და იმავე დროს, მაშინ ბუნებრივია ვიკითხოთ: შესაძლებელია თუ არა ჰოლიტიკური სოციალიზმი? ჩვენი აზრით ჰოლიტიკური სოციალიზმი და სახელმწიფოებრივიც შეუძლებელია რეალურად და ცდა პოლიტიკური სოციალიზმის განხორციელების ნაყოფია დემოკრატიზმის და სოციალიზმის შერიგების უნაყოფო ცდისა.

თუ წმინდა პოლიტიკური მოძრაობა პოლიტიკურისავე მიზნით შესაძლებელია ლეგალური, პარლამენტალური—პოლიტიკური საშუალებით მხოლოდ და საერთო სოციალიზმთან ამას არაფერი აქვს და სამაგიეროდ მას უტოპიური არაფერი აქვს, რადგან მიზანი და მისი საშუალება—დემოკრატია და პარლამენტი შეფერებული არიან.

თუ პოლიტიკური საშუალება—პარლამენტი ემსახურება სოციალიზმს ამით სოციალიზმი უტოპიურია—როგორც ს.-დემოკრატების სოციალიზმი.

თუ სოციალიზმი ხმარობს როგორც ყოველდღიურ ბრძოლაში, ისე საბოლოვო გენერალურ ბრძოლისთვის სოციალისტურ—ეკონომიურ განთავისუფლების—ეკონომიურ იარაღს და საშუალებას—მწარმოებელთა კავშირს და მასზე დამყარებულ გაფიცვას მაშინ სოციალიზმი რეალურია და უტოპისტებთან არაფერი საერთო არა აქვს.

თუ სოციალიზმის განხორციელება დამყარებულია ტაქტიკურ ეკლექტიზმზე, როგორც სოც-ფედ. სოციალიზმი, მაშინ ის ორკეცად უტოპიურია.

ჩვენ ვხედავთ რომ ჭიანჭველამ იცოცა, იცოცა „ისრის“ ფურცლებზე „არსებული წეს წყობილების საზღვრებიდგან“ შემდეგ შეუდგა „თვით წეს-წყობილების წინააღმდეგ“ ჭიანჭველური გვირაბის გაყვანას და ჭიანჭველისებურ ფუგასების ჩაწყობას, მაგრამ მრავალი ტანჯვის შემდეგ и послѣ долгих мытарств, ისევ იმავე წეს-წყობილებაში ამოჭყო თავი, რადგან გვირაბი მრუდეთ დაურჩა გაყვანილი. მან დაასკვნა, რომ სჯობია ისევ ისე, „საჭიროა შეკავშირება მშრომელი ხალხისა ერთი მხრით პროფესიონალურ ორგანიზაციებით, მეორე მხრით კი ჰოლიტიკურად“, ე. ი. პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ერთ და იმავე დროს უნდა იბრძოდნენ პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც, ერთ და იმავე დროს უნდა შედიოდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციებში, ერთი გვერდით ჰოლიტიკანობას ემსახურონ და მეორეთი თავიანთ პირდაპირ სოციალისტურ მიზანს. ჭიანჭველამ ბურჟუაზიული ციხის „საფუძვლების შეხებას“ არჩია ისევ ისე ამ საფუძველის მოხმარა, რადგან მიუხედავად დიდი მეცადინეობისა გასცდენოდა საზღვარს ამ საფუძვლებისა—პოლიტიკას, ლეგალიზმს, პარლამენტარიზმს—იმან მაინც პარლამენტარიზმში და ლეგალიზმში ამოჭყო თავი.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ გვესმის მნიშვნელობა ჭიანჭველის წიხლებისა, რომელსაც ის არტყამს ანარქისტებს და სოც-დემოკრა-

ტებს, მაშინ როდესაც ის ამბობს: „ჩვენ არც სოც.-დემოკრატების პოზიცია მიგვაჩნია ჭეშმარიტად და არც ანარქისტებისა,“ „ჩვენ ვერც ერთის ტაქტიკას მოვიწონებთ და ვერც მეორისას.“

ანარქისტებს და სოც.-დემოკრატებს პოზიციები დაუჭერიათ ერთი მეორეს წინააღმდეგ, რაც, რასაკვირველია აუცილებელია ყოველ ბრძოლაში. მათ გამორკვეული აქვთ თავიანთი პოზიციები მკაფიოთ და მაგრათ აქვთ გამაგრებული, ბრძოლაც მედგარი აქვთ, რასაკვირველია; ამ სურათით გატაცებულმა კუმ ფეხი გამოყო „მეც ნახირ-ნახირაო, მაგრამ ბრძოლაში ამტყდარმა სიცხემ კუ და ჭიანჭველები შეაწუხა; ჭიანჭველამ და ძმათა მისთა მოისურვეს თავიანთი პოზიციის დაჭერა მაგრამ ორი მხრით სიცხე დაადგათ, მაშინ დაიწყეს იდეიური პარაზიტიზმი—ეკლეკტიზმი, ბოლოს მიმართეს ტაკტიკურ პარაზიტიზმსაც —გარემოების და გვარად თავის შეფარება ხან ანარქისტების, ხან ს-დ—ბის პოზიციაში, ერთი სიტყვით იკისრეს ბაღლინჯოს როლი ბრძოლაში და ამ გვარად შეეჩვიენ უპოზიციობას, სხვის პოზიციებში ძრწოლას—არჩიეს უპოზიციობა და ორ სკამზე ჯდომა.

საცოდავი ჭიანჭველა ხმარობს უკანასკნელ ღონის ძიებას და უნდა რამე ორიგინალური აზრი შვას, მაგრამ ჭიანჭველური მოდგმა ნებას არ აძლევს. ის ამბობს, რომ ის უარჰყოფს „სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებულ ლეგალურ ბრძოლას“, რადგან ამას „შედეგად ყოველთვის გაოპორტიუნისტება მოსდევსო“.

განსაკუთრებულ ლეგალურ ბრძოლას კი არ მოსდევს გაოპორტიუნისტება. განსაკუთრებული ლეგალური ბრძოლა თვით არის განხორციელებული ოპორტიუნიზმი.—აზრის მაგიერ სიტყვები დაბადა „ისრის“ ჭიანჭველამ, როდესაც ოპორტიუნიზმი თავის თავს დაადევნა. ოპორტიუნიზმი მოსდევს ტაკტიკურ და იდეიურ ეკლეკტიზმს, რაც ექსპერიმენტალურად დაამტკიცეს მეორე დუმაში ს. რევოლიუციონერებმა თავიანთი ყოფა ქცევით და ბოლოს, როდესაც რეაქციონური შაქარი აჭამეს, მაშინ წამოვიდნენ თავ თავიანთ სოროებში და შეთხზეს სპეციალური თეორია (იხილე მათი ჟურნალ გაზეთები და ბაქოში გამოსული კვირეული) სადაც ამბობდენ, რომ მათ სტადეს ლეგალური, მოღვაწეობა და ჩაიდინეს მრავალი საზიზღრობა იმიტომ, რომ დაემტკიცებიათ მთავრობის უსინდისობა, მხოლოდ დაავიწყდათ დაემატებიათ, რომ აგრეთვე დაემტკიცებიათ თავიანთი ოპორტიუნისტობა; სურათი სრული იქმნებოდა. ეს ის ს.-რევოლ. არის რომლებსაც ეხვევა კისერზე ჭიანჭველა და ძმანი მისი ხოლო, თუ როგორ იბადება ოპორტიუნიზმი ჭიანჭველას ფრანგ წინაპრებისაგან ჩვენ ადეილად დავამტკიცებთ.

საფრანგეთის ს.-დემ. მეთაურები თავის დებიუტზე ამბობდნენ, რომ ისინი პარლამენტს მხოლოდ აგიტაციისთვის ხმარობენ უმთავრესად დ ბურჟუაზიის მოქმედების კონტროლის გასაწევად; ამ გვარსავე „გალობას და მსგავს მუსაიფს“ ეწევოდენ გერმ ს.-დ. მეთაურები, მაგრამ შემდეგმა განვითარებამ მათი პარლამენტალური მოღვაწეობისა გამოიწვია მათი რეალური პოლიტიკა და ოპორტიუნიზმი რომელიც შესდგება პარლამენტით დროებით სარგებლობაში სოციალიზმის დასამყარებლად.

ამ ვაჟბატონებსაც ისეთი ორი პროგრამა ჰქონდათ ბრძოლისა, როგორც ჩვენ ჭიანჭველას—პროგრამა, რომელიც დასაწყისს ლეგალურ მოღვაწეობას ძლიერ მცირე მნიშვნელობას აძლევდა, ბოლოს კი ხელში გაზვიადებული პარლამენტარიზმი მიიღეს და ლონდონის კონგრესიდგან 1896 წ. გააძევეს ანარქისტები, რომლებიც სინდიკატებმა გაგზავნა, ამ კონგრესზე პარლამენტარულმა სოციალისტებმა, დამოუკიდებლებმა, მარქსისტებმა თავიანთ საუბედუროდ და გაკვირვებით დაინახეს, რომ სინდიკატებმა მხარი დაუჭირეს ანარქისტებს. უმეტესი ფრანგი დელეგატები მხარს უჭერდენ ანარქისტებს ღა უმცირესობამ კი ჩაიდინა სამარცხვინო საქციელი: მოითხოვა ნება შეედგინა განსაკუთრებული ფრანგული „ნაცია“. ეხლა ყველა ისინი, ვინც „დაკლებული ფასით“ ემხრობოდენ დასაწყისს პოლიტიკურ ბრძოლას, ეწევიან „აწეული ფასით“ პარლამენტარულ, ლეგალურ და პოლიტიკურ ბრძოლას.

ამ გვარი იყო დებიუტი დღევანდელი პოლიტიკანებისა ამ გვარი იყო მოღვაწეობა დასაწყის გედის, ლაფარგის ლიბკნეხტის და სხვა მსხვილი ავანტიურისტებისა—პოლიტიკანე-

ბისა. მათ დაიწყეს სოციალიზმის სადღეგრძელოთი და დაამთავრეს განუსვენოთი.

ამ გვარია ჭიანჭველას და ძმათა მისთა დებიუტი—ამ გვარი იქნება ფინალი მათი ავანტიურისა, განსხვავება მხოლოდ ქართველ ჭიანჭველების და უცხოეთის აქლემთა ზომაში, ამიტომ ჩვენ ვეჭობთ ძლიერ, რომ ჩვენმა ჭიანჭველებმა შეიძლონ მოწევნა და გასწრობა უცხოეთის აქლემებისა, რასაკვირველია, ზენონის და მისი დიალექტიკის დაუხმარებლად.

(შემდეგი იქნება)

უკბილოთა კბენანი *) და უგუნურთა მსჯელობანი.

დიალექტიკის ლაღი და უებრო რაინდი ბ-ნი კო... დაუღალავად განაგრძობს და აბსურდს აბსურდსვე უმატებს, რადგან მისთვის ყველაფერი, რაც იზრდება გონიერია და იქნებ ჩემი აბსურდების გროვა გონიერებათ გადაიქცესო—რიცხვი თვისებათაო. ის ამბობს, რომ „მარქსისტები პასუხობდენ: მართალია, სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბებიც არიან, მაგრამ განა ამაშია საქმე? წვრილი ბურჟუაზია დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, *) მაგრამ დღემდის პროლეტარიატის დაუხმარებლათ არავითარი თაოსნობა არ გამოუჩენია „თავისუფლების ბრძოლაში“.

თუ წვრილი ბურჟუაზია დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, მაშინ როგორ მოხდა, რომ მსსის ბრინციპის თანახმათ წვრილ მა ბურჟუაზიამ ვერ შექმნა თავის შესაფერი პოლიტიკური რეჟიმი, რატომ ეს ეკონომიური რიცხვი არ გადაიქცა თავის შესაფერ პოლიტიკურ და სხვა თვისებათ? ალბათ იმიტომ, რომ დიალეკტიკა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ემსახურება მარქსიზმს და სოციალ-დემოკრატიას. ჩვენი დიალეკტიკოსი(?) გვეუბნება: „საქმე იმაშია, თუ რომელი კლასი მაგრდება და რომელი იშლება“. კარგი, მაგრამ ვგონებ თქვენ ბრძანდებოდი , რომ წვრილის დასაწყისში ბრძანებდით, რომ ყველაფერი იზრდება და კვდებაო, მაშასადამე ყველა კლასსიც, ამიტომ თუ პროლეტარიატის გამრავლებული რიცხვი პროლეტარიატის ეკონომიური რიცხვი უცილობლად უნდა გადაიქცეს პოლიტიკურ, შესაფერ თვისებათ, მაშინ სხვა რომელიმე კლასის ეკონომიური რიცხვიც უცილობლად უნდა გადაიქცეს თვისებათ, მაგრამ, როგორც თვით დიალექტიკის ქართველი მეგაირაღტრე ალიარებს, ეს ასე არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დიალექტიური კანონი ვრცელდება მთელ მსოფლიოზე (იხილე ენგელსი) დიალექტიკოსისთვის მხოლოდ ერთი ალტერნატივაა: ან სულელია, ან განზრახ ედება აბდა-უბდას.

დიალექტიური აბდა-უბდის მწვერვალზე მიაღწია ჩვენმა მოწინააღმდეგემ შემდეგ ფრაზაში, რომელშიდაც ის ამბობს, რომ „რევოლიუციონურია მოძრაობა (უნდა იყოს დიალეკტიური ავტ. შენ.), როცა პროგრესიული (როგორც ჩანს, რეგრესსი არ შედის ამ განსაზღვრაში) ელემენტები სტიქიურად განაგრძობენ... მუშაობას, როცა მათ წვრილ-წვრილი, რაოდენობითი ცვლილება შეაქვთ ძველ წესებში“. ესე იგი ჯერ არსებობს წმინდა რიცხვი(*) (чистое количество), რომელიც გროვდება და შემდგომ გადაიქცევა თვისებად, რევოლიუციად, „როცა იგივე ელემენტები (საოცარია, რადგან დიალეკტიკას თურმე ერთდა იგივეობა, тожество სწამს და ამასთანავე მუდმივი ცვლა და სხვა და ხხვაობა სწამს)... ჯგუფდებიან... იმსჭვალებიან... მიექანებიან... მოსპონ ძველი წესები მათი ნიშნობლივი თვისებებით“. *). თურმე, ნუ იტყვით, ძველ რიცხვთა გროვას თავისი ნიშნობლივი თვისებები თან ჰქონებია, მაგრამ საოცარია, როგორლა მოახერხა ბ-ნმა კო...მ რაოდენობითი ცვლილების ე. ი. რიცხვითი ცვლილების თვისებითი ცვლილებათ გადაქცევა თუ ძველ რიცხვითი ცვლილებას, ევოლიუციონურ მოძრაობას თავისი ნიშნოვლივი თვისება თან ჰქონდა. იქნება წყალის წყალად გადაქცევა ან სხვა ამ გვარი რამე დიალეკტიკას შეეძლოს, მაგრამ ინდუკტიურ-დედუკტიური ლოლიკა რომ ამ შემთხვევაში არა თუ შესაძლებელია ჯვარს ეცვას, არამედ კიდეც აწამა და ჯვარს აცვა საარაკო კო...მ ეს უკვე ცხადია. ცხადია აგრეთვე, რომ „ევოლიუციონური მოძრაობა, და დიალეკტიური მოძრაობა (იხილე ენგელსი.) ამ საარაკო ეაჟ-

*) კურსივი ჩვენია.

* იხ. ქარ. № 1

*) კურსივი ჩვენია.

*) კურსივი ჩვენიცაა და ავტორისაც.

ბატონისთვის ერთი და იგივეა, მაგრამ მაშინ დიალექტიკა და ევოლიუცია ხომ ერთი და იგივე გამოდის. თუ ჩვენ ვაუბატონს დიალექტიკა ევოლიუციათ მიაჩნია (როგორც მარქსისტების უმეტესობას მიაჩნია) იმ შემთხვევაში იძულებული ვართ შარლატნებათ დავსახოთ დიდრო, ლამარკი, გიოტე, დარვინი, სპენსერი ერთი მხრით ან შარლატნებადვე დავსახოთ მარქსი, ენგელსი და მთელი კლიკა მეორე მხრით. ან ერთი ან მეორე. არჩიეთ, რადგან ევოლიუციონური თეორია საცილობლად გახდა ამ ორ ჯგუფს შორის.

ვაუბატონი კო... თუ კუ არჩევს იმ დიალექტიკას, რომელსაც ის თაყვანს სცემს და რომლის ხმარების ნიჭს სრულიად მოკლებულია.

ეს ახირებული ჭკუის ჭურჭლის პატრონი ამბობს, რომ „პასკალი და ლეიბნიცი რევოლიუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათგან აღმოჩენილი მათემატიკური მეთოდი მეცნიერულ მეთოდათ არის დღეს აღიარებული.“ ამ გვარივეა მისი აზრით ჰელმლოლცის და მაიერის აღმოჩენანი, რომლებიც მეცნიერებას საფუძვლად დაედვენ მიუხედავად იმისა, რომ ავტორები რევოლიუციონერები არ იყვნენ და სხვა და სხვა, მაშასადამე, დაასკვნის უვიცობით თუ მარქსიზმით თავ-ნატკენი კუ, „არც ჰეგელს დაუშლიდა მისი არა რევოლიუციონერობა მეცნიერული მეთოდის შემუშავებას.“ ამაზე ცოტა წინეთ კი ეს უცნაური ეკზემპლიარი „კრიტიკოსისა“ და მწერლისა ამბობს, რომ „მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია,—ეს მთელი მსოფლიო მხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას—კი დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება.“ „ცნობილია, მარქსიზმის დასურათება—ეს იმავ დროს დიალექტიური მატერიალიზმის დასურათება იქნება.“

ვაუბატონი კო... ნამდვილი კუს ბუნების და ჩვეულების უნდა იყოს, როგორც აქედგან ჩანს მისი გონება ისე მოუხეშავი და მძიმეა, რომ არ შეუძლია წინანდელი პირდაპირ მომყოლი შემდეგს დაუკავშიროს თუ კუს „აზრით“ მარქსიზმიდგან გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი,“ თუ მისი „აზრით“ „ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება,“ თუ „მარქსიზმის დასურათება, იმავე დროს დიალექტიური მატერიალიზმის დასურათება იქნება, მაშასადამე დიალექტიკა და მარქსიზმი დაუშორებელი რამ ყოფილან, მათ შორის კავშირი ყოფილა. ამას, თანავე ჰელმლოლცი, მაიერი, ლამარკი და დარვინი ნამდვილი რევოლიუციონერები იყვნენ იმ გონებრივ რეჟიმში, რომლის კედლები მათ შეანგრიეს და რომელიც მათ რევრესიებით გაუმასპინძლდა.

ჰეგელთან შედარებით მარქსი პატარა ფინაა და ცნობილია, თუ როგორ შეკავშირებულია ჰეგელის სისტემა მის დიალექტიურ მეთოდთან. ყველა ეს დაბრკოლება კო...ს გონების კუსავით მოძრაობაში ბუნებრივია და ამ გვარი გონება შესძლებს მის მონელებას, მაგრამ, როგორ ახერხებს მისი გონებრივი კუჭი ისეთი მეცნიერული ტყუილის და ისტორიული ურცხვობის მონელებას, როგორც მაგალითად თქმა იმისი, რომ „რაც ჰეგელს დაუშლიდა მისი არა რევოლიუციონერობა მეცნიერული მეთოდის შემუშავებას“: ჰეგელის და მარქსის მეთოდი დიალექტიკა არის და მეცნიერების კი ინდუქცია დედუქცია; რომელია მაშასადამე მეცნიერული? როდის იყო დიალექტიკა მეცნიერების მეთოდათ? მეცნიერული ის არის, რომელსაც მეცნიერება ხმარობს —ინდუქ-დედუქცია. დიალექტიკა მეცნიერების მეთოდი კი არ არის, არამედ მოცლილ სპეკულიანტების და მეტაფიზიკოსის საქმე.

კუ მიუთითებს შ. გ—ს წერილებზე ნობათის მე-3 და მე-8 ნომერში და კროპოტკინის ბროშ. „მეცნ. და ანარქ.“, სადაც დიალექტიკა მეტაფიზიკად არის დასახული და გამწარებული ღრიალებს: „ჩემი, შენ გითხარ გული მოგიკალო.“ საწყალი კუ. კუ რა არის თვით, რომ მისგან გადმოვიღოთ და მოვახსენოთ კო...ს! დიალექტიკის გასამართლებლად საწყალი კო... იმეორებს იმ ტყუილს, რომელიც დიალექტიკისავე ვასამართლებლად მარქს-ენგელსმა გამოიგონეს; ტყუილის ერთ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახალი ტყუილის გამოგონება ძველი ტყუილის გასამართლებლად—ასე მოიქცა მარქს-ენგელსი დიალექტიკის გასამართლებლად. ეხლა, კო...ს არ უნდა ჩამორჩეს ტყუილის გამართლებაში თავის პაპებს დიალექტიური ტყუილისას და იმეორებს ნაანდერძევ არგუმენტს: ის ამბობს, რომ დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი, და ანარქისტების აზრით კი გამოდის, რომ დიალექტიკა მეტაფიზიკა ყოფილა!“ გადახედეთ მთელ ისტორიის ფილოსოფიას და დაინახავთ რომ ყველა მეტაფიზიკოსი, მეტად თუ ნაკლებად შესამჩნევი დიალექტიკოსები იყვნენ. კუ ქე

მაინც ფურიეს ფილოსოფიის ისტორიამდი მიხოხებულიყო და ჩაეხედნა შით. იქ დაინახავდა, რომ „თანამედროვე მეტაფიზიკა სცნობს ცვალებადობაში ჰერაკლიტესთან ერთად იდუმალ ერთდაიგივეობას წინააღმდეგებისა და შესაძლებლად ხედავს საგრძნობელ ქვეყნის დანახვაზე სთქვას: „არაფერი არ არსებობს, არამედ ყოველი შენდება.“

„ანარქისტების“ მამამთავარი პრუდონი, ამბობს კო..., ამბობდა, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული უცვლელი სამართლიანობა“ და სხვა და აი ამიტომ უძახდნენ მას მეტაფიზიკოსსაო. უბადრუკი კო..ს სოციალ-დემოკრატები ვერ წარმოუდგენია უმამამთავროდ. მისი აზრით, როგორც შეუძლებელია ორი მამა ჰყავდეს კაცს ისე შეუძლებელია ერთი მამამთავარი არ ჰყავდეს პარტიას—პოლიტიკურ პატრიარქალურ ოჯახს. ამიტომ ანარქისტებსაც უნდა ჰყავდეს მამა-მთავარი. მახლას კო...ს ჭკუას! პრუდონი, რომ მეტაფიზიკოსი იყო მეთოდოლოგიაში, ფილოსოფიაში მაგაში ყველა ანარქისტი დაეთანხმება კოს, ხოლო პრუდონი რომ დიალექტიკოსი იყო მაგაში ძალა უნებურად უნდა დაგვეთანხმოს კუს ჭკუის პატრონი კო, რადგან თვით მარქსი დაქებით ამბობს, რომ დიალექტიკით მოვწამლე პრუდონი ჩვენი მეგობრობის დროსო.

„პრუდონის ქართველი მოწაფეები, *) ამბობს უსინდისოდ და ურცხვად ტყუილის მოლაპარაკე კო, გადმომდგარა“ და სხვა. ვინ არის ქართველი პრუდონისტი ჩვენ არ ვიცით და ისინი ვინც ჩვენში ამტყდარ კამათში მონაწილეობას იღებდნენ, ნამდვილად ცნობილია, პრუდონისტები არ არიან. კო ძლიერ ურცხვი და სინდის გარეცხილი მწერალი ბრძანდება. თვალი სულ იმაზე უჭირავს აბა რ ა-გორ მოვახერხო ტყუილების გამრავლება, ვინძლო ერთი მაინც გასხლტეს მტრის ბანაკში და არეულობა გამოიწვიოსო.

„ენგელსი ებრძოდა ხსენებულ დოგმებს დიალექტიური მეთოდის შემწეობითო,“ ამბობს, „შინაური პუბლიცისტი“ კო დიახ მარქსის მეთოდი დიალექტიკა იყო, აბსოლიუტისტ ჰეგელის მეთოდიც დიალექტიკა იყო ფიხტე, შელინგის მეთოდიც დიალექტიკა იყო-პარმენიდის მეთოდიც დიალეიტიკა იყო, აგრეთვე ზენონის, გორგიასი, დემოკრიტის, ჰერაკლიტის, პლატონის და მრავალ სხვა მეტაფიზიკ აბსოლიუტისტების მეთოდი დიალექტიკა იყო; ესენი ყველა ერთი მეორეს ებრძოდნენ და აუმჯობესებდნენ თავიანთ დიალექტიკას, მაშასადამე მართალია კო, როდესაც იმეორებს მარქს-ენგელსის და კომპანიის ტყუილს, რომ დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი,“ მაგრამ როდესაც ორი სისულელე ერთი მეორეს ებრძვის და ერთი მეორეს სძლევს ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამარჯვებული სისულელე თვით გონიერებაა, ისე მაშინ როდესაც ორი მეტაფიზიკა ერთი მეორეს ებრძვის. ჩვენ ჩვენი მხრით ყოველ მეტაფიზიკას ვებრძვით თუნდაც გამარჯვებული იყოს ის.

ეხლა ვნახოთ ნიმუში კო...ს არა-კეთილსინდისიერობისა.

იშვიათი ეკზემპლიარი ლიტერატურის მწარმოებლისა, შულერი პოლემიკაში, ვაჟბატონი კო... ბრძანებს, რომ „ნობათის“ მერვე ნომერში შ. გ. ამბობს, რომ „დიალექტიური განვითარება კატასტროფისტული განვითარებაა და სხვა და სხვა, რომ „კიუვიეს კატაკლიზმებს უცნობი მიზეზი წარმოშობდა, მარქს-ენგელსის კატასტროფებს დიალექტიკა.“ დავიმახსოვნოთ, რა უთქვამს დიალექტიკის შესახებ შ. გ—ს „ნობათის“ მერვე ნომერში, დიალექტიკის შესახებ და არა სხვა რამეის.

შემდეგ ამისა კო... ამბობს *) რომ იგივე ავტორი შ. გ. „ნობ.“ მეექვსე ნომერში ამბობსო, რომ „მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მასო“.

ამ ორი ადგილის მოყვანის შემდეგ კო ღრიალებს: დახეთ! დახეთ! ეს რა ამბავია! „გრუბი აშიბკა“ ვნახე შ. გ. ლოლიკაშიო! ლოლიკა იმისია, რომ კაცმა მოიხმაროს და ლოლიკის 'შეუცდომლად მოხმარება კი ღმერთის, მარქსის და სოციალ-დემოკრატის საქმეა, მე ადამიანად მიმაჩნია თავი, და ლოლიკური შეცდომა რომ ჩავიდინო, რა საკვირვე-

*) კურსივი ჩვენია.

*) ახალი დროება. №-6

ლია, მაგრამ მაგარი და ჩვეულებრივი სინდისის მიერ, გარნა კოს სინდისისა, მოუნელებელია განზრახ აღმოჩენა ლოლიკური შეცდომისა იქ, სადაც ეს შეცდომა არ არსებობს და თუ შეუგნებლად აჩენს კო ამ გვარ ლოლიკურ „გრუბი აშიბკას“, მაშინ თვით ყოფილა „გრუბი“ ჭკუის პატრონი ან შეუგნებელი—ეს ტავტოლოგიაა. არჩიოს კო...მ რომელი ურჩევნია, ხელოვნური შეუგნებლობა—ხელოვნური უსინდისობა, თუ ბუნებრივი შეუგნებლობა—ბუნებრივი უსინდისობა, ე. ი. დაბადებით სისულელე. ეხლა ვნახოთ რაში გამოიხატება ხელოვნური თუ ბუნებრივი არ ვიცი უსინდისობა, არ ვიცი სისულელე.

შემდეგი იქნება

თბილისის რკინის გზის მუშათა შორის.

—

მართალია ჩვენი მუშები წაიკითხავენ თუ არა ამ ორიოდე სიტყვას, სუნით დაუწყებენ ძებნას იმ მუშას, რომელმაც გაბედა და დასწერა ის, რაც ეხლა უნდ ვაუწყო მკითხველს.

ამ რამდენისამე დღის წინ გამოვიდა სინდიკალური ფურცელი. როდესაც ნახეს და წაიკითხეს თ. რ. გ. მოწინავე მუშებმა ეს ფურცელი, ჯერ გაიცინეს, შემდეგ დაუწყეს გაკრიტიკება და ბოლოს ლანძღვა. მაგრამ მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ იმათ იციან სინდიკალიზმის მნიშვნელობა. რათ ხდება ეს ასე? ეს იმისთვის ხდება, რომ აიღებს თუ არა რომელიმე მუშა ხელში არა ს. დ. წიგნაკს ან გაზეთს მაშინათვე ეცემიან გაქნილი მოლაპარაკეები, დაუწყებენ ლანძღვა, დაცინვას, რის გამო მუშაც ძალა უნებურათ ხელს უშვებს, რადგან იცის მათი რისხვის გემო

მე მომყავს ჯერჯერობით ერთი მაგლითი დესპოტობისა. ამ ერთი კვირის წინეთ ლაპარაკი იყო იმაზედ თუ ვის რამდენი მოუმატოთ. („ლიტეინის“ ცეხში). რაღათქმა, უნდა დაიწყეს განაწილება იმის თუ ვის რამდენი მოემატოს ჯამაგირზეო, და დაამთავრეს კიდეცა. ამდროს წამოდგა ერთი მუშათაგან და სთქვა მე რაღა დავაშავევო? მერმეთ იცით მკითხველო, რა პასუხი მიღო? შენ წადი და იმპარტიას მოსთხოვე, რომელსაც ეკუთვნიო, ისინი, მოგიმატებენო. ჯერ არაფერი უფლება არ აქვთ ხელში და როგორ იქცევიან, თუ ცოტაოდენი უფლება ექნებათ ხელში მაშინ ხოცვასა! და ციხეში დალპობას არ დაიშურებენ, როგორც ეხლა მთავრობა შვრება. აი რას ნიშნავს შემოფარგლულ პარტიის ხალხის მოქმედება; იმის მაგივრათ, რომ იდეური ბრძოლა გასწიონ ისინი დაცინვის მეტს არაფერს აკეთებენ, მაგრამ განა ჩვენს მუშებს იმდენი შეაგნებინეს, რომ იდეიურათ იბრძოლონ? მაშინ ხომ დაიღუპებიან.

დაგიწყებენ ლანძღვას თუ არა, მაშინვე გეტყვიან, რომ შენც ფსიხოპატი ხარ და მაგ მოძღვრების მიმდევარიო. ეს იმისთვინ ხთება ასე, რომ სალაპარაკო ბევრი აქვთ და გაცნობა რომელიმე პარტიასთან ან სხვა პარტიულ ლიტერატურასთან მეტად მიაჩნიათ, იმათვის მეტია იცოდნენ სხვა რამე გარდა თავისი მამაუჩვენოისა და აი სწორედ ეს ღუპავს მათ.

ქრიტე

განცხადება

22 ივლისიდან ქალ. თბილისში გამოდის

ყოველ—კვირეული ქართული სამეცნიერო—ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ—ეკონომიური გაზეთი

„ქარიშხალი“

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებიდან, გაზეთი ეღირება წლიურათ 3 მან. ნახევარ წლით — 1 მ. 50 კ. სამი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი თფილისში ღირს **ერთი შაურიანი**, პროვინციაში — 6 **კაპ**,

გაზეთის რედაქცია და კანტორა ყოველ-დღიაა. დილით 10—2 ს. და საღამოობით — 5—7 ს. კვირა-უქმე დღე 10—12 ს.

ადრესი: Тифлисъ: Семеновская ул. №4 типографя „Надежда“ редактору газеты „Каришхали“.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ებრალიძე**

სტამბა „ნადეჟდა“ კ. თავართქილაძისა. სემენოვის ქ. № 4.